პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

ქ. ბათუმი _____ თებერვალი, 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 18 თებერვლის N1248/02 წერილის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რვა ერთეული ავტობუსი, შემდგომში, ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით:

1.1. მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO, საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008694; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-701-FH, , გამოშვების წელი – 2025. საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

1.2. მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO; საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008701; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-702-FH, , გამოშვების წელი – 2025. საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

1.3. მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO; საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008695; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-703-FH; გამოშვების წელი – 2025, საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

1.4. მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO; საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008698; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-704-FH, , გამოშვების წელი – 2025. საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

1.5. მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO; საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008697; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-705-FH; გამოშვების წელი – 2025. საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

1.6. მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO; საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008696; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-706-FH, გამოშვების წელი – 2025. საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

1.7. მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO; საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008700; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-708-FH, გამოშვების წელი – 2025. საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

1.8 მარკა-OTOKAT; ტიპი-ავტობუსი; მოდელი - CENTRO; საიდენტიფიკაციო ნომერი – NLRTMT1400A008699; საწვავის ტიპი - დიზელი; რეგისტრაციის ნომერი HH-709-FH; გამოშვების წელი – 2025. საბალანსო ღირებულება - 341 000 (სამასორმოცდაერთი ათასი) ლარი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თითოეული ავტობუსის საბალანსო ღირებულებიდან 200 (ორასი) ლარი შეადგენს მარეგისტრირებელ ორგანოში (სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო") ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის საფასურს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 18 თებერვლის N1248/02 წერილი, რომელიც ეხება რვა ერთეული (2025 წელს გამოშვებული) ავტობუსის ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემას შემდგომში, შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"-სათვის გადაცემის მიზნით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტმა" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცა 08 (რვა) ერთეული ავტობუსი. როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი მის საკუთრებაში არსებული ქონება საკუთრებაში გადასცეს სხვა მუნიციპალიტეტს. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რვა ერთეული ავტობუსი შემდგომში, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადასაცემად (შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება"-სათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის რვა ავტობუსის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი".

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**